ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N18
21 აგვისტო 2025 წ.

დაბა ლენტეხი

,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13-ე მუხლის 1^1 პუნქტის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 010250050.35.115.016266 04/05/2018 წ.) შემდეგი სახით:

1.რეგლამენტის მე-3-ე მუხლის მე-8-ე პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობის ღონისძიებათა დაგეგმვა და დამტკიცება. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნა;"

2. რეგლამენტის მე-113-ე მუხლის მე-6-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. ზეპირი შეკითხვის დასმის უფლება საკრებულოს წევრს აქვს საკრებულოს, კომისიის , დროებითი სამუშაო ჯგუფის ან ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომაზე."

3. რეგლამენტის მე- 113-ე მუხლის მე-10-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,10. საკრებულოს წევრის ზეპირი შეკითხვები და მასზე პასუხები აისახება შესაბამისად, საკრებულოს , კომისიის , დროებითი სამუშაო ჯგუფის ან ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის ოქმში."

4. რეგლამენტის XVI1 -თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XVI1-ლენტეხის მუნიციპალური ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭო."

5. რეგლამენტის 1351-მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1351. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში ქალისა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად საკრებულო ქმნის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს."

6. რეგლამენტის 1352 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1352. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ფუნქცია

1. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭო უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობას, სათანადო პირობების შექმნას ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებისა და შესაძლებლობების რეალიზაციას, ხელსუწყობს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.

2. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება საკრებულოს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შემადგენლობაში საკრებულოს წევრები შედიან ფრაქციათა და უფრაქციო წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპით.

3.საბჭოვალდებულია ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, რომელიც ასევე ეგზავნება საქართველოს მთავრობის ქალისა და მამაკაცის თანასწორობის , ქალთა მიმართ ძალადობის უწყებათაშორის საკითხებზე მომუშავე კომისიას.

4.ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭო ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მერიის საქმიანობის კონტროლის მიზნით იყენებს ამ რეგლამენტითა და საბჭოს დებულებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი გაზდელიანი**